ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

ფორმა # 3.1

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060303

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	270,000
სულ ბიუჯეტი:	270,000

ქვეპროგრამის მიზანი:

საექიმო კადრების სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის სოფლის ექიმების მატერიალური სტიმულირება მათთვის ხელფასის დანამატის დანიშვნით, მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი ხულო) სოფლის ექიმებისათვის – 300 ლარი, ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 150 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული ექიმების დეფიციტისა და მაღალი დენადობის გამო სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სრულად არ მიეწოდება პირველადი ჯანდაცვით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. საექიმო კადრების სოფლებში დამაგრების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი მატერიალური სტიმულირება ხელფასის დანამატის დანიშვნით.
ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის ექიმები. დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ქვეპროგრამაში სამედიცინო პერსონალის ჩართვა განხორციელდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და მუნიციპალიტეტების გამგებლების მომართვის საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმების ხელფასის დანამატი	43	300	154,800
ქობულეთისა და ხელვაჩაურის სოფლის ექიმების ხელფასის დანამატი	64	150	115,200
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			270,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ხელფასის დანამატი	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურეობის მიწოდების უზრუნველყოფა;

ფორმა # 3.2

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრება, სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი ბაზისური, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება.	სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრება	მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმის რაოდენობა – 43 ქობულეთის და ხელვაჩაურის სოფლის ექიმები– 64	მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია დასაქმებული სოფლის ექიმებისა და მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ	ყოველთვიურად	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაციისა და სოფლის ექიმების მიერ ჩატარებული მუშაობის ყოველთვიური ანალიზი